



# საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიალის ეროვნული სააგენტო



KA020131203689620

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51; ფაქსი: +995 32 243 95 02

# 22/2865

21 / მაისი / 2020 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის  
მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადანყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგინთ სასარგებლო წიალისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ქალაქ ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე (უბანი ნაბადა), (საერთო ფართობი - 1 291 205 მ<sup>2</sup> (129 ჰა)), 420 933 ტონა ტორფის მოპოვების (ID 48938/5652) სკრინინგის განცხადებას.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ზღვის დონიდან 0,2-0,7 მ სიმაღლეზე, ქალაქ ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას.

ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის, დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები.

რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.


გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადანყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღებას.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, Shape-ფაილი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 3 გვერდი.

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის  
პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი																								
1	წიაღითსარგებლობის ობიექტი – ნაბადა I ტორფის საბადო																								
2	გენეტიური ტიპი – ეგზოგენური მყარი წიაღისეული, დაბლობის ტიპი																								
3	სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო ტიპი – აგრონომიული ნედლეული																								
4	<b>წიაღითსარგებლობის ობიექტის მდებარეობა და ტერიტორიის ზოგადი აღწერა</b>																								
4.1	რეგიონი – სამეგრელო-ზემო სვანეთი																								
4.2	მუნიციპალიტეტი – ფოთი																								
4.3	უახლოესი დასახლებული პუნქტი – ქ. ფოთი																								
4.4	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან – ქ. ფოთის მიმდებარე ტერიტორია																								
4.5	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან / სანაპირო ზოლიდან – აღემატება 5 კმ-ს / სანაპირო ზოლიდან – 2..5-3 კმ																								
4.6	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) – მდ. რიონი, კოლხეთის დაბლობი																								
4.7	წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები –  <table border="1" data-bbox="300 846 730 1102"> <thead> <tr> <th>№</th> <th>X</th> <th>Y</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>720344,2893</td> <td>4674592,6939</td> </tr> <tr> <td>2</td> <td>721293,3400</td> <td>4674756,2000</td> </tr> <tr> <td>3</td> <td>722012,8900</td> <td>4673896,0700</td> </tr> <tr> <td>4</td> <td>721394,8982</td> <td>4673319,5823</td> </tr> <tr> <td>5</td> <td>720945,8246</td> <td>4673621,6677</td> </tr> <tr> <td colspan="3" style="text-align: center;">S =1291205 კვ.მ.</td> </tr> <tr> <td colspan="3" style="text-align: center;">WGS 1984</td> </tr> </tbody> </table> 	№	X	Y	1	720344,2893	4674592,6939	2	721293,3400	4674756,2000	3	722012,8900	4673896,0700	4	721394,8982	4673319,5823	5	720945,8246	4673621,6677	S =1291205 კვ.მ.			WGS 1984		
№	X	Y																							
1	720344,2893	4674592,6939																							
2	721293,3400	4674756,2000																							
3	722012,8900	4673896,0700																							
4	721394,8982	4673319,5823																							
5	720945,8246	4673621,6677																							
S =1291205 კვ.მ.																									
WGS 1984																									
4.8	ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან – 0.2-0.7 მ																								
4.9	კლიმატური პირობები – ნოტიო, სუბტროპიკული																								
5	<b>ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები</b>																								
5.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის დერძიდან – აღემატება 100 მ-ს.																								
5.2	მანძილი უახლოესი ხიდიდან – აღემატება 1 კმ-ს.																								
5.3	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან –																								
5.4	დამატებითი მონაცემები – გაზსადენი – 310 მ																								
6	<b>სატყეო რესურსები</b>																								
6.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში – არ ფიქსირდება																								
6.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური – არ ფიქსირდება																								
7	<b>რაიონის გეოლოგიური პოზიცია</b>																								
7.1	ტექტონიკური დარაიონება – ამიერკავკასიის მთათაშუა არე, დასავლეთ დაძირვის მოლასური ზონა, ოჩამჩირე-ყუყულევის ბლოკი.																								
7.2	გეოლოგიური აგებულება – რაიონი აგებულია პალეოგენური, ნეოგენური და მეოთხეული ასაკის ნალექებით.																								
8	<b>ობიექტის გეოლოგიური პოზიცია</b>																								
8.1	გეოლოგიური აგებულება – ნაბადა I გამოვლინება მიეკუთვნება დაბლობის (ბარის) ტიპს. ტორფის მასივი აგებულია სხვადასხვა სახეობის ტორფით – ისლის, ლერწამის, მერქნულ-ლერწამის და სხვა. ფსკერული ნალექები წარმოდგენილია ლამით, ქვიშით და თიხით. მცენარეული საფარი წარმოდგენილია ლერწმით, ისლით, ბალახით.																								
8.2	მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი – ბუდობი																								
8.3	მადნიანი სხეულის (სხეულების) გავრცელება (მიმართებით და დაქანებით) – პროდუქტიული წყების გავრცელება ლიმიტირებულია სალიცენზიო ფართობის პარამეტრებით.																								

8.4	მადნიანი სხეულის (სხეულების) სიმძლავრე – საშუალო სიმძლავრე – 2 მ
8.5	მადნიანი სხეულის (სხეულების) წოლის ელემენტი –
8.6	დამატებითი მონაცემები –
9	ობიექტის შესწავლის ხარისხი და სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიურ-ტექნოლოგიური დახასიათება
9.1	საძიებო ქსელი ძებნა-ძიების სტადიურობის ჩვენებით – წინასწარი (რეკონოსცირებით) ძიება.
9.2	საძიებო სამუშაოები – ჩატარებულია ტორფის მასივის ზონდირება.
9.3	დასინჯვა – საბადოზე აღებულია სინჯები ტორფის ხარისხობრივი მახასიათებლების განსაზღვრისა და აგროქიმიური ანალიზისათვის.
9.4	ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევის შედეგები – საბადო მიეკუთვნება დაბლობის ტიპს და წარმოდგენილია სხვადასხვა სახეობის ტორფით – ისლის, ლერწამის, მერქნულ-ლერწამის და სხვა. ტორფის ტექნიკური თვისებების მახასიათებლები: გახრწნის ხარისხი – 39-42%; ნაცრიანობა – 32.7-44.0%; ბუნებრივი სინესტე – 86.1-89.5%.
9.5	ჰიგიენურ-რადიაციული კვლევა და შედეგები – არ არის შესწავლილი
9.6	სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების სფერო – სოფლის მეურნეობა, ორგანული სასუქის სახით.
9.7	დამატებითი მონაცემები –
10	სასარგებლო წიაღისეულის მარაგები
10.1	ობიექტის დაძიების ხარისხი (სტადია) – წინასწარი (რეკონოსცირებით) ძიება.
10.2	ობიექტის ფართობი მარაგების ანგარიშის კონტურში – 1291205 მ <sup>2</sup> .
10.3	მადნიანი სხეულის ძირითადი პარამეტრები – ფართობი – 1291205 მ <sup>2</sup> , საშუალო სიმძლავრე – 2 მ; ტორფის გამოსავალი 1 მ <sup>3</sup> -დან 40%-იანი პირობითი ტენიანობის პირობებში – 0.163 ტ (ნაბადას ტორფის საბადოს ანალოგიით)
10.4	მარაგების გამოთვლის მეთოდი – გეოლოგიური ბლოკების მეთოდი
10.5	წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები მარაგების და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით (A+B+C <sub>1</sub> +C <sub>2</sub> და P) – სალიცენზიო ობიექტზე ტორფის მარაგებია: C <sub>1</sub> კატეგორია: 1291205 x 2 x 0,163 = 420933 ტონა
10.6	თანმდები სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები – არ არის დაფიქსირებული.
10.7	მარაგების გაზრდის ძირითადი მიმართულებები –
10.8	დამატებითი მონაცემები –
11	წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების პირობები
11.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების ჰიდროგეოლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობები – რთული.
11.2	წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების მეთოდი – ღია (კარიერული) წესი ობიექტზე გეოლოგიური წონასწორობისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს ლიცენზიანტი.
11.3	ინფორმაცია ობიექტის ტოპოგრაფიის შესახებ –
12	წიაღითსარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება
12.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის მორფოლოგია – სალიცენზიო ობიექტი (ტორფი) მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, მდ. რიონის ფართოდ გაშლილი ხეობის მარცხენა, ძველ ტერასულ საფეხურზე, ნაბადას ტბის მიმდებარედ. ობიექტის ტერიტორია ჰორიზონტალური რელიეფით ხასიათდება და წარმოდგენილია ვრცელი დაჭაობებული ტერიტორიებით. ობიექტის ტერიტორია დაფარულია ჭალის ტყისა (მურყნარ-თხმელნარით) და ჭაობისათვის დამახასიათებელი მცენარეებით.
12.2	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია – სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია აგებულია თანამედროვე პოლოცენური ზღვიური-აკუმულაციური და ტბიურ ჭაობური ნალექებით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტი მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას.
12.3	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია (მდინარეული ქვიშა-ხრეშის შემთხვევაში ნაპირების ეროხია; კალაპოტში წარმოქმნილი ჭარბი აკუმულაცია და სხვა) – სალიცენზიო ობიექტის ფარგლებში საშიში გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება.

12.4	წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გეოდინამიკური გართულებები – მოსალოდნელი არ არის.
12.5	გეოდინამიკური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა – არ საჭიროებს.
12.6	<p>დასკვნები და რეკომენდაციები –</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. სალიცენზიო ობიექტი (ტორფი) მდებარეობს ქ. ფოთის (უბანი ნაბადა) მიმდებარე ტერიტორიაზე;</li> <li>2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას;</li> <li>3. მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის დამუშავების პროექტის მიხედვით;</li> <li>4. წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს სპეციალური მიწამწოვი ტექნიკა-დანადგარების საშუალებით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სათანადო ტექნიკის გამოყენებით;</li> <li>5. ობიექტიდან 310 მ-ში ფიქსირდება გაზსადენი; ლიცენზიის გაცემამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს შესაბამის სამსახურთან;</li> <li>6. ლიცენზიის გაცემამდე ობიექტის დამუშავების საკითხი უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან;</li> <li>7. აღნიშნული რეკომენდაციების (პუნქტი 3-5) გათვალისწინებით, სალიცენზიო ობიექტზე წიაღისეულის მოპოვება არ გამოიწვევს არსებული გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.</li> </ol>
13	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდური მასალა
13.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) – 1. ვ. ვოევოდინი და სხვა; 2. ზ. შანიძე, დ. წოწორია და სხვ.
13.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – 1. 1960 წ.; 2. 1979 წ.
13.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – 1. №10987; 2. №15184


შემსრულებლები:

ს. მკალავიშვილი, ნ. ჩომახიძე, ე. ბაქანიძე, ნ. ბებია, გ. ბუცხრიკიძე, ნ. გუგავა

შეთანხმებულია,

სასარგებლო წიაღისეულის მართვის

დეპარტამენტის უფროსი



მერაბ ჩალათაშვილი

